განმცხადებელი : დაჩი ცაგურია
თარიღი : 17-12-2021
მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: **:** პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 7

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ტელეკომპანია მთავარის ჟურნალისტი ბექა ყორშია

სადავო მასალა : https://fb.watch/9p4CMQuIDy/
აღნიშნული სიუჟეტი გავრცელდა 2021 წლის 20 ნოემბერს 22:03 საათზე ტელეკომპანია მთავარის ეთერში და ტელეკომპანია მთავარის სოციალურ ინტერნეტ გვერდებზე

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 20 ნოემბერს 22:03 საათზე გავიდა მთავარი არხის ეთერში გავიდა ჟურნალისტი ბექა ყორშიას სიუჟეტი (იხილეთ ბმული https://fb.watch/9p4CMQuIDy/). ჩემს შესახებ მოამზადა შეკვეთილი სიუჟეტი, გაავრცელა მცდარი ინფორმაცია, მომაყენა სიტყვიერი და მორალური შეურაცხყოფა, სიუჟეტის დროს გამოიყენა არა ერთი უცენზურო სიტყვა ჩემს და არა მარტო ჩემს მიმართ, მცდარი ინფორმაცია გაავრცელა საქართველოს რკინიგზის შესახებ და შეურაცხყოფა მიაყენა ჩემს კოლეგებს. მიმაჩნია, რომ აღნიშული სიუჟეტით მან დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები, კერძოდ : პრინციპი 1: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

1. ბექა ყორშიამ მიზანმიმართულად დაამახინჯა ინფორმაცია ჩემი პიროვნების და შემოსავლების შესახებ, დამაბრალა თითქოს მე მაქვს წლიური შემოსავალი სს „საქართველოს რკინიგზის „მგზავრთა გადაყვანის დირექტორის პოზიციიდან 140 000 ლარი და ასევე მაქვს პრემია-დანამატები რითიც ჯამში ვიღებ 200 000 ლარამდე წლიურ შემოსავალს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.
2. მან ასევე დამაბრალა, რომ როდესაც მე მივიღე მონაწილეობა ერთ ერთ აქციაში, რომელიც იყო ორგანიზებული ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დაზარალებულების მიერ და მე როგორც დაზარალებული გამოვედი სიტყვით, დამაბრალეს ხელისუფლების მხარდაჭერა რაც ასევე სიმართლეს არ შეესაბამება.
3. დამაბრალეს, რომ თითქოსდა 2012 წლიდან მე ვმუშაობ სს „საქართველოს რკინიგზის“ მგზავრთა გადაყვანის ფილიალის დირექტორად, რაც ასევე სიმართლეს არ შეესაბამება, მე მგზავრთა გადაყვანის დირექტორად დავინიშნე 2018 წელს.
4. დამაბრალეს, რომ ჩემი საქმიანობის შედეგად საქართველოს რკინიგზას შეუმცირდა შემოსავლები, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. მეტიც, ჩემი დირექტორად დანიშვნის შემდე მგზავრთა გადაყვანის ფილიალის ხარჯებმა იკლო, ხოლო შემოსავლებმა საგრძნობლად იმატა.

   პრინციპი 3: ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. სამწუხაროდ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე ეს იყო შეკვეთილი სიუჟეტი და არ ეფუძნებოდა ფაქტებს. ყორშია არ დამკავშირებია, არ გადაუმოწმებია ჩემთან ინფორმაცია, ასევე არ დაკავშირებია საქართველოს რკინიგზას, რომ გადაემოწმებინა სიუჟეტში ნახსენები ცნობები. უბრალოდ ადგა და გამოიგონა ამბები. ხელფასის და შემოსავლების შესახებ.

5. მომაყენა შეურაცხყოფა, სრულიად უსაფუძვლოდ ცილი დასწამა კომპანიას, სადაც მე ვმუშაობ და სრულიად დაუმსახურებლად მიაყენა გალანძღა ჩემი კოლეგები, რადგან ამ

სიუჟეტში მოყვანილი ფატები არ ეფუძნებოდა რეალურ ცნობებს და იყო ჟურნალისტის მიერ უბრალოდ გამოგონილი.

პრინციპი 7: ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეს იყო მიზანმიმართული და დისკრიმინაციული, ვინაიდან მე არ ვიზიარებ მთავრი არხის ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ ხედვებს. გააღვივა შუღლი, მცდარი ინფორმაციის გავრცელებით, რამაც გამოიწვია მაყურებლების უარყოფითი დამოკიდებულება ჩემს მიმართ, რაც გამოიხატა ჩემი მისამართით გამოთქმულ კომენტარებში. გთხოვთ, შეისწავლოთ აღნიშნული სიუჟეტი და დაადგინოთ დაარღვია თუ არა მთავარი არხის ჟურნალისტმა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი, მესამე და მეშვიდე პრინციპები.